ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

2019-2020

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

საქართველო

ჩვენი განვითარება ჩვენს შესაძლებლობებშია

წინამდებარე გეგმა მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ტექნიკური მხარდაჭერით. დოკუმენტი განხილული იქნა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და აღიარებულია ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პრინციპების შესაბამის დოკუმენტად. მთელი პასუხისმგებლობა გეგმის შინაარსობრივ მხარეზე ეკისრება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას.

მერის მიმართვა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი თავისი ბუნებრივი მიმზიდველობებით, ისტორიით, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით, სტუმართმოყვარეობით, მდიდარი ტრადიციებით წარმოადგენს საქართველოს გამორჩეულ მხარეს.

ჩვენთვის პრიორიტეტული საკითხია ადგილობრივი შესაძლებლობების გამოყენებით, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. დასახული მიზნების მიღწევას, მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობებით, საერთაშორისო მხარდაჭერით და არსებული გამოცდილების გაზიარებით შევძლებთ.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მისაღწევად, ადგილობრივ ძალისხმევას მივმართავთ, რათა სათანადოდ განვითარდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისი, ბიზნესსექტორი, უზრუნველვყოთ უფრო მეტად ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობის ფორმირება, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ადგილის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რათა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთ გამორჩეულ ტურისტულ და ეკონომიკურ ცენტრად იქცეს.

ჩვენ თანასწორობის პრინციპის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორისა და სამოქლაქო საზოგადოების მონაწილეობით შევიმუშავეთ 2 წლიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის რეალიზებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტში მოვახდენთ შესაბამისი ფინანსების მობილიზებას.

გიორგი ქორიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი



გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
სახელი/გვარი: გოგა ასუმბანი
თანამდებობა: ეკონომიკის მცირე ბიზნესისა და ტურიზმის
განვითარების ხელშეწყობის განყოფილების უფროსი
მისამართი: ქ.თეთრიწყარო, თამარ მეფის 34
ტელეფონი: +995 599 408288; +995 (0359)222338
ელ-ფოსტა: meria@tetritskaro.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს არსებული გამოწვევების დაძლევის და სიღარიბის მაჩვენებლის შემცირების ახალ შესაძლებლობას, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების პროცესს და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაზრდას მმართველობითი პროცესები გახდეს უფრო გამჭვირვალე, ინკლუზიური და ბიზნესისადმი მეგობრული.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, სიახლოვე დედაქალაქთან და საერთაშორისო აეროპორტთან, ტურისტული მიმზიდველობები, განვითარებისათვის მოქმედი საგადასახადო შეღავათები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან გარემოებებს, არსებული შესაძლებლობების გამოყენებით შესაძლებელია მოხდეს მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი და ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი მხარის პოზიციონირება საერთაშორისო დონეზე.

ეკონომიკური განვითარების ხედვა წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს, რომელის მიხედვით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში განვითარებულია კერძო სექტორი, გაზრდილია ადგილობრივი წარმოება და შექმნილია სამუშაო ადგილები. თეთრიწყარო ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ ცნობილ ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს, განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით და სერვისებით. მხარე ყველასათვის მიმზიდველია საცხოვრებლად და დასასვენებლად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს:

1) ტურიზმის სექტორის განვითარების მხარდაჭერა
2) ბიზნესსექტორის განვითარების მხარდაჭერა
3) ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

დასახული მიზნების მისაღწევად, მუნიციპალიტეტის მერიამ კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, განსაზღვრა მთავარი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მონახულებად ტურისტულ ობიექტზე - ბირთვისის ბუნების ძეგლთან ტურისტული ინფრასტრუქტურის და სხვა ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი მანიშნებლების და საინფორმაციო დაფების მოწყობა, ქ.თეთრიწყაროს მიმზიდველობის გაზრდისათვის ქალაქის ცენტრალური ნაწილის იერსახის გაუმჯობესება, მრავალფუნქციური საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრის მოწყობა, მუნიციპალიტეტის მიმზიდველობების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო ტურისტული ტურების ორგანიზება, ტურისტული ელექტრონული რუკის და მუნიციპალიტეტის საიმიჯო ვიდეორგოლის შექმნა, ბიზნესსექტორის წარმომადგენელთათვის სპეციალური სასწავლო კურსის ორგანიზება ბიზნესის მართვის საკითხებში, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციისათვის სოფელ ასურეთში შემოდგომის ფესტივალის და ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენის ორგანიზება დაბა მანგლისში, ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირებისათვის ფესტივალებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა უზრუნველყოფს 2 წლიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის რეალიზებისათვის, ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსების გათვალისწინებას.

2. შინაარსი

მერის მიმართვა ..... **Error! Bookmark not defined.**

1. მოკლე შეჯამება 1

2. შინაარსი 2

3. ცხრილებისა და გრაფიკების სია & აბრევიატურები 3

3.1 ცხრილები 3

3.2 აბრევიატურები 3

3.3 დანართები 3

4. გეგმის შესავალი 4

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 5

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 5

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 5

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება 8

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია 8

6.4 წვდომა ფინანსებზე 9

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა 10

6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები 11

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა 11

6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 12

7. SWOT ანალიზი 13

8. ხედვა და მიზნები (მათ შორის მოსალოდნელი შედეგები) 14

9. სამოქმედო გეგმა 16

10. დაფინანსების სქემა 19

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 21

3.ცხრილებისა და გრაფიკების სია & აბრევიატურები

3.1 ცხრილები

ცხრილი 1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის ეკონომიკური საქმიანობის მონაცემები.....8

ცხრილი 2. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში.....12

ცხრილი 3. სამოქმედო გეგმა 17

ცხრილი 4. დაფინანსების სქემა.....20

ცხრილი 5. ქმედებების და შიდა მონიტორინგის გეგმა.....22

3.2 აბრევიატურები

M4EG	მერები ეკონომიკური ზრდისთვის
EDO	ეკონომიკური განვითარების მრჩეველი
ENPARD II	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
LAG	ადგილობრივი განვითარების ჯგუფი
LEADER	ევროკავშირის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სოფლად თემის მობილიზაციასა და განვითარების ხელშეწყობას.
RDFG	სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის
Kfw	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი

3.3 დანართები

დანართი 1. თეთრიწყაროს მუნიციპლიტეტის მერის #832 ბრძანება ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)“ ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის (LEDP) შესამუშავებლად სამუშაო ჯგიფის შექმნის შესახებ;

დანართი 2. ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ აღქმული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

დანართი 3. LEDP-ის მომზდების პროცესში სამუშაო ჯგუფისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა;

4. გეგმის შესავალი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 2018 წლის 16 მაისიდან შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

2019-2020 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულ იქნა ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ დოკუმენტის „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სტრუქტურისა და შინაარსის შესადგენად“ რეკომენდაციების თანახმად. კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. გეგმა მუნიციპალიტეტის განვითარების სხვა სტრატეგიებისაგან განსხვავებით, არ არის ყოვლისმომცველი გეგმა, იგი ვიწროდ ფოკუსირდება კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ზრდა, განვითარება და დასაქმება. გეგმით გათვალისწინებული აქტივობები თანხვედრაშია LAG-ის მიერ შემუშავებულ ადგილობრივ სტრატეგიასთან „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018 – 2022“ და ქვეყნის ეროვნულ სტრატეგიებთან: ა) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციების და სამეწარმეო უნარების განვითარების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით ბიზნესის განვითარების სტიმულირებას, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. ბ) „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020“. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ნაწილობრივ დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებთან „ერთიანი აგროპროექტი“, „აწარმოე საქართველოში“ ერთად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მხარდაჭერით, წარმატებით ხორციელდება ENPARD II –ის ფარგლებში მიმდინარე პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“, რომელიც ინოვაციური სოციო-ეკონომიკური მოდელების დანერგვით და სტრატეგიული პრიორიტეტების მხარდაჭერით ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

თეთრიწყარო ქვემო ქართლის მხარეში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი ქ.თეთრიწყარო ქვეყნის დედაქალაქიდან დაშორებულია 62 კილომეტრით, 1 საათის და 15 წუთის სავალ მანძლზე, ხოლო თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 67 კმ-ით. მუნიციპალიტეტში შედის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 85 სოფელი. მოსახლეობის რიცხოვნობა 21,127 შეადგენს, აქედან 10,335 მამაკაცი, ხოლო 10,792 ქალია. მოსახლეობის 21% ცხოვრობს ქალაქად (ქ.თეთრიწყარო, დაბა მანგლისი), ხოლო 79% სოფლად. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების საშუალო ასაკი 38 წელია, მამაკაცების 37 წელი. შრომისუნარიანი მოსახლეობის (15-60 წლამდე ასაკობრივ ჭრილში) პროცენტული წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შეადგენს 57%-ს, აქედან 49.5% ქალი, 50.5% მამაკაცი. მოსახლეობის 82% ეთნიკურად ქართველია, ხოლო 18% - ეთნიკური აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები და სხვა. მუნიციპალიტეტში მაღალია მიგრაციის მაჩვენებელი, რაც ძირითადად გამოწვეულია სამუშაო ადგილების სიმცირით. უკანასკნელ 15 წელიწადში მოსახლეობის რაოდენობა 16%-ით შემცირდა, მოსახლეობის გადინება ძირითადად ხდება ქვეყნის დედაქალაქში და საზღვარგარეთ.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ ადგილობრვი ეკონომიკური განვითარების გეგმა შეიმუშავა თანასწორობის პრინციპის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით. გეგმის შემუშავების პროცესში ინტენსიურად მიმდინარეობდა შეხვედრები და რეგულარული კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მეწარმეებთან, ფერმერებთან, ახალგაზრდებთან. ინიციატივა განხილულ იქნა მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე.

გეგმის მომზადების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ განისაზღვრა ეკონომიკური განვითარების მრჩეველი (Economic Development Officer) და მერის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვის შესახებ მოქალაქეთა აზრის შესწავლა მოხდა სპეციალური კითხვარის საშუალებით (დანართი 1. შევსებული კითხვარი). გეგმის შემუშავების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სამუშაო ჯუფის მიერ, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან 7 სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების შესახებ საინფორმაციო მასალები პერიოდულად ქვეყნდებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ვებგვერდზე: (დანართი 3. LEDP-ის მომზდების პროცესში სამუშაო ჯგუფისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა)

მიღებული ინფორმაციის ანალიზს უზრუნველყოფდა სამუშაო ჯგუფი, ჯგუფის სხდომებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ხმათა უმრავლესობით.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს დივერსიფიცირებული ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის მაღალი პოტენციალი გააჩნია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა.ძირითად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს მეცხოველეობა, მემცენარეობა და მეფუტკრეობა. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 21 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და მცირე ფერმერული მეურნეობა. წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით 18-20% არის ორიენტირებული ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზარზე გასაყიდად, დანარჩენი შიდა მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სასოფლო - სამეურნეო მიწის საერთო რაოდენობა 50616 ჰა-ს შეადგენს, აქედან: სახნავი - 18 028 ჰა, სათიბი - 6 475 ჰა, საძოვარი - 25 699 ჰა, მრავალწლოვანი - 414 ჰა.მუნიციპალიტეტის მასშტაბით, დასაქმების დონე 65% შეადგენს, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 70%-ია, სხვა მნიშვნელოვანი დასაქმების სექტორებია: ვაჭრობა (10%), განათლება (5%) და სხვა (15%).
ქმედით საინვესტიციო პირობებში, მუნიციპალიტეტს მრეწველობის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს სამთო-მომპოვებელი მრეწველობის დარგში: მხარე მდიდარია

წიაღისეული რესურსებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ოქროს, ბაზალტის, მადნეულის, თეთრი ქვის, კირის და მარგანეცის საბადოები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის მარაბდა-კარწახის რკინიგზა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ადგილობრივ ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელია კომპანიაა შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“. სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის და წლიური შემოსავლების მიხედვით, დიდ საწარმოს წარმოადგენს შპს „დილა“ რომელიც წელიწადში 80 მლნ ფრინველის კვერცხს აწარმოებს და ნატურალური რძის პროდუქტების საწარმო ‘წინწყარო+“ რომელის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მზარდია. სხვა სამეწარმეო სუბიექტები ძირითადად წარმოდგენილნი არიან: ინდ. მეწარმის, მიკრო და მცირე ბიზნესის სახით. მუნიციპალიტეტში ეკონომიკის მზარდი სექტორია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება, ადგილობრივი ღვინის წარმოება, შემნახველი მეურნეობების განვითარება.

მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარებას და ეკონომიკური აქტივობების ზრდას ხელი შეუწყო სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელებამ, რომელიც ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. მუნიციპალიტეტის 51 მაღალმთიან დასახლებაში, სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად, საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით, მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო შეღავათები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2015 წლის მონაცემებთან (1,263 პირი) შედარებით, 12%-ით არის გაზრდილი და შეადგენს 1415 ადამიანს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ. „თეთრიწყაროს განვითარების ფონდი“, რომელიც მუნიციპალური და სხვა ადგილობრივი თუ უცხოური ორგანიზაციებიდან მიღებული ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საჭირო პროექტების განხორციელებას.

ადგილლობრივ უნიკალურ პროდუქტს წარმოადგენს ენდემური ყურძნის ჯიში „ასურეთული შავი“ იგივე „შალა“ და მისგან წარმოებული ღვინო, რომელიც გამორჩევა ორიგინალურობით და დამახასიათებელი გემოვნური თვისებებით. შალა შესაბამისი მიკროკლიმატური პირობების და ნიადაგის ნაყოფიერების გამო, საქართველოში მხოლოდ ასურეთში გვხვდება. აღსანიშნავია აგრეთვე უნიკალური ტექნოლოგიით ქვევრში წარმოებული ქართული ვისკი და თაფლი, რომელიც ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გამოირჩევა განსაკუთრებული გემოთი. ასურეთში წარმოებულ შალაზე მოთხოვნის ზრდის შედეგად თანდათან იზრდება ღვინის მწარმოებელთა რაოდენობა, რომლებიც ტრადიციული ტექნოლოგიით ღვინოს ძველ გერმანულ მარნებში აწარმოებენ, თუმცა არასაკმარისი ფინანსების გამო მათ ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ და საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეობის შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ.

ცხრილი1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის ეკონომიკური საქმიანობის მონაცემები

ეკონომიკური საქმიანობის ტიპი	*ბიზნეს ერთეულების რაოდენობა & პროცენტული წილი (კლასიფიკაციის მიხედვით)*			
	მიკრო	*მცირე*	*საშუალო*	*მსხვილი*
სამრეწველო საქმიანობა	17	3	1	
სოფლის მეურნეობა	168	1		
საცალო ვაჭრობა	90			
საბითუმო ვაჭრობა	3			
სამედიცინო სერვისები (საავადმყოფო, ამბულატორიები)	21			
იურიდიული სერვისები ნოტარიუსი, ადვოკატი)	1			
საყოფაცხოვრებო სერვისები (პარიკმახერის მომსახურება, სამრეცხაო მომსახურება, ავტომანქანის შეკეთების სერვისები, მცირე შეკეთების სერვისები)	15			
რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა.	8	1		
სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა	10	2		

მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და სამეწარმეო უნარების ნაკლებობა. დაბალია ბიზნესის დაგეგმვის და განვითარების, მარკეტინგის და სხვა იმ უნარების ცოდნის დონე, რაც აუცილებელია წარმატებული საქმიანობისთვის. მოქმედ მცირე და საშუალო სამეწარმეო სუბიექტებს არ გააჩნიათ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი, რაც მნიშვნელოვანია, როგორც კონტაქტების დამყარების თვალსაზრისით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა თუ მომსახურების პოპულარიზაციისთვის.

მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა განვითარებული სამშენებლო ბიზნესი, იურიდიული მომსახურების ორგანიზაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი, განვითარების საწყის ეტაპზეა ტურისტული სერვისები.

მუნიციპალიტეტს ტურიზმის სფეროს განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, თუმცა მოუწესრიგებელი ტურისტული ინფრასტრუქტურის და მომსახურების სერვისების ნაკლებობის გამო, თეთრიწყარო ტურისტული თვალსაზრისით, ნაკლებად აქტურ მხარედ განიხილება. მუნიციპალიტეტში არის ისეთი ტურისტული ობიექტების ნაკლებობა, როგორიცაა: საოჯახო სასტუმროები/სასტუმროები, კაფე-ბარები, რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები, გასართობი ადგილები.

6.2 **ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება**

მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თანამშრომლობის წარმატებული ფორმაა თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფი (LAG) - პლატფორმა, რომელიც ევროკავშირის „LEADER“ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, 2017 წელს შეიქმნა. LAG აერთიანებს სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. LAG-მა ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავა თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია და განსაზღვრა პრიორიტეტები. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG).

ადგილობრივი თვითმმართველობა ჩართულია დაცული ტერიტორიების ინტეგრალური მართვის საკითხებში, რომელიც გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაძლიერების საკითხებს ერთობლივი საბჭო განიხილავს, რომლის შემადგენლობაშიც მოქალაქეებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობაც.

მუნიციპალიტეტში არსებობს ადგილობრივი თანამშრომლობის გამოცდილება, რომელიც გულისხმობს თვითმმართველობისა და არასამთავრობო/კერძო სექტორის ერთობლივი რეაგირების გზით, გარკვეული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას და თანამშრომლობას საგანმანათლებლო მიმართულებით. ადგილობრივი თვითმმართველობა წარმატებით თანამშროომლობს სათემო ორგანიზაციებთან და მათთან პარტნიორობით ხორციელდება ერთობლივი, თემისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები.

ადგილობრივ მმართველობით პროცესების გამჭვირვალობის და მონაწილეობის წარმატებულ მექანიზმს წარმოადგენს მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც აერთიანებს კერძო სექტორს და სამოქალაქო საზოგადოებას. საბჭო განიხილავს თვითმმართველობის მიერ შემუშავებულ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სამოქმედო გეგმებს, მუნიციპალურ სტრატეგიებს და წაუდგენს მერს შესაბამის სარეკომენდაციო წინადადებებს.

ნაკლებად არის ხელმისაწვდომი მუნიციპალური ელექტრონული სერვისები, რომელიც ხელს შეუწყობდა და გაამარტივებდა მუნიციპალური მომსახურების მიღებას. მომსახურების სერვისის გაუმჯობესებების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად, მუნციპალიტეტის 2 დასახლებაში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრები, მოსახლეობას საშუალება აქვს, ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორის სერვისიებით, რაც მნიშვნელოვნად

ამცირებს როგორც სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს, ისე კორუფციის რისკს.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესახებ დაინტერესებული პირების კონსულტირებას, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ ინფორმირებას და ა.შ. უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თეთრიწყაროს საინფორმაციო საკონსულტაციო -სამსახური.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია/პრივატიზაცია ხდება გამჭვირვალედ, საჯარო ან ელექტრონული აუქციონის სისტემის მეშვეობით. თვითმმართველობის მიერ ყველა ტენდერის გამოცხადება ხდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს შესყიდვებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის.

ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით, სისტემატურად ხდება მუნიციპალიტეტში დაცული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული განთავსება და მუნიციპალური სამსახურების მუშაობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. ამასთანავე დაინტერესებულ პირებთან სხვადასხვა საკითხებზე კომუნიკაცია დამატებით ხორციელდება სოციალური ქსელის საშუალებით.

უზრუნველყოფილია თანაბარი ხელმისაწვდომობა მუნიციპალურ სერვისებზე და რესურსებზე, რომლის განკარგვის უფლებამოსილებაც გააჩნია მუნიციპალიტეტს (სამუშაოების წარმოების ნებართვა, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება და სხვა), ადგილობრივი თვითმმართველობა შუამდგომლობას უწევს დანტერესებულ პირებს სახელმწიფო უწყებებთან მიწის სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ხდება საზოგადოებასთან კონსულტაციის გზით. საკრებულოს სხდომები ღიაა, თუმცა დაბალია მოსახლეობის დასწრების მაჩვენებელი. ბიზნესსექტორის საჭიროებების და განვითარების პერსპექტივების სრულყოფილი ანალიზისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბიზნესის წარმომადგენლებთან დიალოგს და შეხვედრებს იშვიათი ხასიათი აქვს.

6.4 წვდომა ფინანსებზე

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი გამოწვევაა ბიზნესსექტორის განვითარებისთვის. ბიზნესის წარმომადგენლები წარმოების გაფართოების მთავარ დაბრკოლებად ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას ასახელებენ. მათ არ გააჩიათ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებსა და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის გაზრდას, თუ როგორ მოიზიდონ ფინანსური რესურსები ალტერნატიულ წყაროებიდან/ფონდებიდან.
მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს ბიზნეს დახმარების სერვისების მიწოდებას, ჩატარებული კონსულტაციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი და პოტენციური სუბიექტები საჯარო ორგანოებისაგან დახმარებას საჭიროებენ წარმოებული პროდუქციის რეკლამირების, ბიზნესკონსულტაციების და საპროექტო ინიციატივების შემუშავების საკითხებში.

თვითმმართველ ერთეულში მოქმედი კომერციული ბანკების ფილიალები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მომხმარებელს სთავაზობენ ბიზნეს სესხს არსებული ბიზნესის განვითარებისთვის, თუმცა მათ მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, როგორც ქვეყნის მასშტაბით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტშიც საკმაოდ მაღალია და მეწარმეთა მხრიდან ნაკლებ ინტერესს იწვევს. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში,

სახელმწიფო კომერციულ ბანკებთან მიმართებაში ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის და არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის სთავაზობს სუბიექტებს ფინანსურ მხარდაჭერას ბანკის მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებაზე. სახელმწიფო პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ეხმარება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საფინანსო ინსტიტუტებისგან, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების (შეღავათიანი აგროკრედიტი/აგროლიზინგი) მიღებაში. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ სტარტაპების დაფინანსების კომპონენტიც, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების სამეწარმეო აქტივობებში ჩართვას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა ძირითადი მიმართულებაა: მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. კოოპერაციის სტიმულირების მიზნით მოქმედი საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, თანდათან იზრდება მოსახლეობის ინტერესი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ.

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში არსებული შენობების დიდი ნაწილი სხვადასხვა სამინისტროს საკუთრებაშია, რაც ართულებს აღნიშნული ქონების გამოყენებას საინვესტიციო მიზნით. აქტიურად მიმდინარეობს დაურეგისტრირებელი ქონების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში არ არის შემუშავებული საინვესტიციო პაკეტები და ინვესტორებისთვის საინტერესო მიწების და უძრავი ქონების ნუსხა.

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია 60 ჰა არასასოფლო მიწა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 16 ჰა სახნავი, 12 ჰა საძოვარი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ინვესტორის მიერ საცდელ-სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთების მოსაწყობად ან/და სხვა დანიშნულებისათვის. მიწის დანარჩენი რესურსი სახელმწიფო საკუთრებაშია რომლის შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა შუამდგომლობას უწევს დანტერესებულ პირებს სახელმწიფო უწყებებთან მიწის სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. მუნიციპალიტეტს საპრივატიზებოდ დამტკიცებული აქვს 6 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთა საერთო ფართია 1745 კვ.მ. შენობები შესაძლოა გამოყენებულ იქნას კომერციული საქმიანობისათვის. სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის, მოთხოვნის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტებზე გაიცემა ფართები სარგებლობის სხვადასხვა ფორმით. მუნიციპალური შენობა-ნაგებობები, საჭიროებენ რეაბილიტაციას.

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია აგრარული ბაზრის ტერიტორია, რომელსაც ესაჭიროება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ცხრილი 2. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში

კერძო სექტორის მიერ დასახელებული საჭიროებები ინფრასტრუქტურის ტიპის მიხედვით	არსებული მიწოდება ამ სეგმენტში	შესაძლო სამომავლო მოთხოვნები (6 წლის განმავლობაში)
მიკროკომპანიის ან ინდ. მეწარმის სამუშაო ადგილი (სახელოსნო) – საზიარო სამუშაო ფართი (ფართით/ფართის გარეშე)	ფართი ქირით გაცემულია 15 მცირე მეწარმეზე	გაფართოვდება მცირე მეწარმეებთან თანამშრომლობა
სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწების 25% არის გასარწყავიანებული	წყალუზრუნველყოფილი ფართობებზე მოთხოვნის ზრდა
მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურა	საჭიროების გათვალისწინებით, მოწესრიგდა სოფელ ახალშენში მისასვლელი 5 კმ-იანი საავტომობილო გზა.	პრიორიტეტების განსაზღვრისას ეტაპობრივად მოხდება გათვალისწინება

6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომლის განაკვეთს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობა. მუნიციპალურ დონეზე რეგულირდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხებიც. დღეისთვის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 2 ადგილობრივი მოსაკრებელი, რომელთა ადმინისტრირებაც ხდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების მიხედვით: 1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვა ; 2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.

სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესში მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს სრულ მომსახურეობას მშენებლობის ნებართვის ყველა ეტაპზე, დაინტერესებული პირის/პირების ჩართულობას ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას. საერთო სახელმწიფო რეგულაციებთან ერთად მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულაციები, უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების იერსახისა და საერთო კონტექსტის როგორც შენარჩუნებას, ასევე მის სწორ განვითარებას.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

მუნიციპალიტეტში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებია სამშენებლო-საინჟინრო, შემკეთებელ-მემონტაჟის, ბუღალტერის, იურისტის, ვეტერინარის, ფინანსისტის, აგრონომის, გიდის პროფესია.

მუნიციპალიტეტში დაინტერესებულ პირებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მოკლევადიან პროფესიულ და პიროვნული განვითარების კურსებს სთავაზობს სოფელ კოდაში არსებული სათემო განათლების ცენტრი. ცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება განვითარებისა და თანამშრომლობისთვის: ტურისტული პოტენციალის გაზრდა აზერბაიჯანისა და საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში" ფარგლებში, ახორციელებს გიდების გადამზადების და მცირე მეწარმეობის უფასო კურსს.

RDFG ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ახორციელებს თეთიწყაროს მუნიციპალიტეტში დასაქმების პროგრამას აქტიური და მოტივირებული სამუშაოს მაძიებელთათვის და მათ

ინტეგრაციას შრომით ბაზარზე. პროგრამა ეხმარება უმუშევარ დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას სოციალურ და შრომით ინკლუზიაში, კარიერის დაგეგმვასა და დასაქმებისათვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება ხელმისაწვდომია დედაქალაქთან და საგანმანათლებლო დაწესებულებეთან სიახლოვის გამო. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი შრომის ბაზარი სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მშენებლობის სფეროებში განიცდის პროფესიული კადრების დეფიციტს ან/და საჭიროებს კადრების გადამზადებას.

6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

დედაქალაქიდან 57 კილომეტრში მდებარე მუნიციპალიტეტში ტურიზმის სხვადასხვა სახეობით დაინტერესებულმა ვიზიტორებმა შესაძლებელია მოინახულონ 400-ზე მეტი ბუნების და ისტორიულ-კულტურული ძეგლები, მუნიციპალიტეტში მდებარე დაცული ტერიტორიები, უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი, საკურორტო-რეკრეაციული ზონა, გერმანელი კოლონისტების მიერ შექმნილი კულტურული, არქიტექტურული მემკვიდრეობა და უნიკალური მატერიალური ძეგლები. ქალაქ თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც დაცულია დაახლოებით 11000 ექსპონატი, არქეოლოგიური მასალა, ადგილობრივი ყოფისა და ეთნოგრაფიის ნიმუშები, XX საუკუნის ისტორიის ამსახველი მასალები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 1100-1950 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკი, სადაც ფუნქციონირებს ვიზიტორთა მომსახურების ცენტრი და დაინტერესებულ პირებს საინფორმაციო მომსახურებას სთავაზობს. აქ შესაძლებელია გიდის, ასევე ცხენების დაქირავება და ეროვნული პარკის სრულყოფილად დათვალიერება. პარკი ვიზიტორებისთვის ღიაა წელიწადის ნებისმიერ დროს. ყოველწლიურად იზრდება ეროვნულ პარკში სალაშქრო და საცხენოსნო ტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორთა რაოდენობა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში შესაძლებელია საქართველოში 1819 წელს ჩამოსახლებული გერმანელ კოლონისტების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, უნიკალური არქიტექტურული და სამეურნეო ნაგებობების მონახულება და ადგილობრივი ღვინის დაგემოვნება.

მუნიციპალიტეტში ყოველ წელს აღინიშნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სახალხო ღონისძიება „დიდგორობა“, რომელიც ასახავს ადგილობრივ ტრადიციებს და კულტურას, ხელს უწყობს რეგიონის ტურისტულ განვითარებას. „დიდგორობა“ გამოირჩევა ქვეყნის/რეგიონის მოსახლეობის მაღალი ჩართულობით, მასში მონაწილეობს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, დიპლომატიური კორპუსი, ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები.

მუნიციპალიტეტის უნიკალური მიმზიდველობების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობა დაბალია, როგორც ქვეყნის მაშტაბით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გარე პოზიციონირებისათვის მნიშვნელოვანია მისი მიმზიდველობების შესახებ ცნობადობის გაზრდა, ადგილობრივი და საერთაშორისო ტურ-ოპერატორების პერიოდული ვიზიტების განხორციელება, ფესტივალების ორგანიზება, მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში, გამოფენებში, ექსპორტის ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირება რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და უნიკალური თვისებების შესახებ. მუნიციპალიტეტის ევროპულ ქალაქებთან დამეგობრება ასევე ხელს

შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას კულტურულ - საგანმანათლებლო, ტურისტული და ეკონომკური ურთიერთობების მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი იმიჯის ძლიერი და მოსაწონი მხარეებია: მისი ადგილმდებრეობა, ჰავა, სუფთა ჰაერი, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, საკურორტო და ტურისტული პოტენციალი. მუნიციპალიტეტის, როგორც საცხოვრებლად, სამუშაოდ და მოგზაურობისათვის მიმზიდველი ადგილის პოზიციონირებისათვის საჭიროა მისი განვითარება ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით. მსგავსი მიდგომების განვითარება კი შესაძლებელია საჯარო და კერძო სექტორებთან თანამშრომლობის გაძლიერებას გზით.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- მუნიციპალიტეტის სიახლოვე დედაქალაქთან, საერთაშორისო აეროპორტთან, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან.
- ტურისტულად მიმზიდველი ადგილები, დაცული ტერიტორიები, რეკრეაციული ზონები, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, სოფელი ასურეთში არსებული გერმანული მემკვიდრეობა.
- მხარის უნიკალური პროდუქტის - ენდემური ყურძნის ჯიშის არსებობა.
- განსაკუთრებული მიკროკლიმატური პირობების არსებობა ადგილობრივი ყურძნის ჯიშის წარმოებისათვის.
- სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სახალხო დღესასწაული - „დიდგორობა“
- კერძო და საჯარო სერვისების მიღების შესაძლებლობა საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრებში
- ბუნებრივი რესურსების მარაგი
- ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

სუსტი მხარეები

- კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების ნაკლებობა
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა, ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების ნაკლებობა
- ბიზნეს დახმარების სერვისის არარსებობა
- საბანკო კრედიტების სიძვირე
- ადგილობრივი ბიუჯეტის დაბალი შემოსავლები
- დაბალი ბიზნესაქტივობა
- ბიზნესკვალიფიკაციის დაბალი დონე
- მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია
- უმუშევრობის მაღალი დონე
- გარე მიგრაციის მაღალი დონე
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა.

შესაძლებლობები

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა და ინტერესი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლოსამეურნეო მიმართულებების კუთხით
- მევენახეობის უნიკალური პროდუქტის „ასურეთული შავის“ იგივე „შალლას“ ყურძნის ჯიშის განვითარება და გატანა საერთაშორისო ბაზარზე
- შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარება

- დედაქალაქთან სიახლოვის გათვალისწინებით, თბილისში ჩამოსული ტურისტების მოზიდვა.
- ტურისტული პოტენციალის გაზრდა სასაზღვრო რეგიონების და ევროპის ქვეყნების მუნიციპალიტეტებიდან შიდა ტურების განხორციელების გზით.
- ევროპულ ქალაქებთან ქ. თეთრიწყაროს თანამშრომლობა ეკონომიკური, ტურისტული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით.
- თეთრიწყარო - რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის ცენტრი
- მუნიციპალიტეტის მიმზიდველობების შესახებ ცნობადობის გაზდა საერთაშორისო დონეზე.
- მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა.
- მუნიციპალიტეტში წარმოებული ღვინის და ტრადიციული პროდუქციის პოპულარიზაცია.
- შიდა კავშირების განვითარება დისტრიბუტორ კომპანიებთან.

საფრთხეები

- გლობალური და რეგიონალური ეკონომიკური კრიზისი.
- ბუნებრივი კატასტროფები
- მომპოვებელი კომპანიების საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება
- მაღალკვალიფიციური კადრების გადინება სხვა მუნიციპალიტეტებში

- მუნიციპალიტეტიის ეკონომიკური წინსვლის და განვითარებისათვის აუცილებელია კერძო სექტორის გაძლიერება სახელმწიფო ხელშეწყობის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გზით. კერძო სექტორის განვითარებისათვის გამოვლენილი ხელისშემშლელი ნეგატიური ფაქტორების გადალახვა შესაძლებელია ბიზნესის დაგეგმვის და განვითარებისათვის სათანადო ცოდნის და უნარების ამაღლებით, წარმოებული ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობით.
  ამასთანავე, არსებული შესაძლებლობების და რესურსების გამოყენებით, მუნიციპალიტეტს გააჩნია პოტენციალი გახდეს საერთაშორისო დონეზე ცნობილი ტურისტულად მიმზიდველი, საცხოვრებლად და დასასვენებლად სასურველი, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მონახულებადი და საინტერესო ადგილი.

  ტურიზმი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია, რომელსაც აქვს დიდი პოტენციალი და შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მრავალფეროვანია ტურისტული მონაცემებით. აქ შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა მიმართულების ტურიზმი: კულტურული, რელიგიური, გამაჯანსაღებელი, სათავგადასავლო, ექსტრემალური, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.

8. ხედვა და მიზნები (მათ შორის მოსალოდნელი შედეგები)

<u>**სტრატეგიული ხედვა:**</u>

ეკონომიკური განვითარების ხედვა წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს, რომელის მიხედვით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში განვითარებულია კერძო სექტორი, გაზრდილია ადგილობრივი წარმოება და შექმნილია სამუშაო ადგილები. თეთრიწყაროს კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის შექმნა, განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით და სერვისებით. მხარე ყველასათვის მიმზიდველია საცხოვრებლად და

დასასვენებლად.

<u>მთავარი მიზნები:</u>

1) ტურიზმის სექტორის განვითარების მხარდაჭერა;
2) ბიზნესსექტორის განვითარების მხარდაჭერა;
3) ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

მოსალოდნელი შედეგები:

ტურიზმის სექტორის განვითარების მხარდაჭერა;

- **განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა**
- **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტთა გაზრდილი რაოდენობა**
- **მუნიციპალიტეტის მიმზიდველობების შესახებ გაზრდილი ცნობადობა**
- **დასაქმების და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა**

ბიზნესსექტორის განვითარების მხარდაჭერა;

- **ბიზნესის დაგეგმვის და განვითარებისათვის სათანადო ცოდნის და უნარების ამაღლება**
- **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**
- **დასაქმების ხელშეწყობა**

ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

- **ადგილობრივი წარმოების ზრდის სტიმულირება**
- **დასაქმების ხელშეწყობა**
  მუნიციპალიტეტში წარმოებული უნიკალური პროდუქციის შესახებ ცნობადობის გაზრდა

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი პოტენციალიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმით განისაზღვრა აქტივობების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას და ცნობადობის გაზრდას, ხელს შეუწყობს დასაქმებას და სხვადასხვა სექტორს შორის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება/გაღრმავებას.

გეგმის განმახორციელებელია ადგილობრივი თითმმართველობა, რომელიც მთავარ ფინანსურ მხარდამჭერად დონორ ორგანიზაციებს განიხილავს.

ცხრილი 3. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	*მთავარი მიზნები*	*ქმედებები*	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)*	*შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)*
1. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 2. მიწა და ინფრასტრუქტურა	1.ტურიზმის სექტორის განვითარების მხარდაჭერა	1.1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	01.01.2019 31.12. 2019	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები	85000 GEL 27419 EU	ბირთვისის ბუნების ძეგლთან მოწყობილია საინფორმაციო ბანერი, ტურისტული თავშესაფარი და საპიკნიკე ადგილი. ტურისტულ ობიექტებთან მოწყობილია მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზრდილია ტურისტების რაოდენობა/ ტურისტთა რაოდენობის ზრდის პერიოდული სტატისტიკა;
		1.2. ქ.თეთრიწყაროს იერსახის გაუმჯობესება	01.09.2019 30.12.2020	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები	320 000 GEL 103225 EU	ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილია ინფრასტრუქტურა, დასასვენებელი სკვერი, მცირე შადრევანი	ქალაქს გააჩნია დასასვენებლად მიმზიდველი იერსახე/კმაყოფილი მოსახლეობის და დამსვენებლების რაოდენობა

		1.3. მრავალფუნქციური საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრის მოწყობა	01.02.2019 31.12.2020	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები (ENPARD II)	1200000 GEL 387096.77EU	ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებობს პირველი მრავალფუნქციური საზოგადოებრივი, ტურისტული მომსახურების ცენტრი/დაგეგმილია ორგანიზებულია ტურისტული ტურები და ჩატარებულია კონფერენციები	მუნიციპალიტეტში გაზრდილია ტურისტული ტურების და ტურისტების რაოდენობა, შექმნილია დამატებით სამუშაო ადგილები. /ორგანიზებული ტურების, ჩატარებული კონფერენციების სტატისტიკა, დასაქმებულია 50-მდე ადამიანი.
		1.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფო ტურების განხორციელება	01.06.2019 01.11.2019	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები	5 000 GEL 1612.90 EU	ტურ-ოპერატორების და მედიის წარმომადგენლებისათვის დაგეგმილია 2 საინფორმაციო ღონისძიება/ მედიასაშუალებებში განთავსებული ინფორმაცია	გაზრდილია მუნიციპალიტის მიმზიდველობების შესახებ ცნობადობა ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბით და გაზრდილია ტურისტების რაოდენობა/მედიასაშუალებებში განთავსებული ინფორმაცია, ტურისტების რაოდენობის ზრდის სტატისტიკა.
		1.6. ტურისტული ელექტრონული რუკის შექმნა	01.07.2019-01.06.2020	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები	15 000GEL 4838 EU	ტურისტული რუკა განთავსებულია ინტერნეტსივრცეში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.	გაზრდილია ორგანიზებული ტურების რაოდენობა და ვიზიტორთა ინფორმირებულობა/ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკა.

1.უნარები, ადამიანური კაპიტალი	2. ბიზნესსექტორის განვითარების მხარდაჭერა	2.1. სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება ბიზნესის მართვის საკითხებში.	01.03.2019-01.12.2019	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები	10 000 GEL 3225.80 EU	დაგეგმილია ბიზნესის მართვის 2 სასწავლო ტრენინგი/ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა	გაზრდილია ცოდნა ბიზნესის მართვის აპლიკაციების მომზადებაზე და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე/მონაწილეთა კვლევა (შევსებული აპლიკაციის ფორმა)
1. გარეპოზიციონირება და მარკეტინგი 2. წვდომა ფინანსებზე	3. ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია	3.1 ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენის მოწყობა	01.09.2019-01.31.2020	ადგილობრივი თვითმმართველობა; დონორი ორგანიზაციები	10 000 GEL 3225.80 EU	სოფელ ასურეთში ორგანიზებულია შემოდგომის 2 ფესტივალი, დაბა მანგლისში ორგანიზებულია ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენა/ფესტივალში მონაწილეთა რაოდენობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა/ საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მეწარმე სუბიექტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები
		3.2. ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირებისათვის ფესტივალებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	01.01.2019-31.12.2020		5 000 GEL 1612.90 EU	ადგილობრივი პროდუქცია წარმოდგენილია ფესტივალებზე და გამოფენებზე/მონაწილე მეწარმეთა რაოდენობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტში პროდუქციის წარმოება და წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა/მეწარმე სუბიექტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები

10. დაფინანსების სქემა

ცხრილი 4. დაფინანსების სქემა

ღონისძიებები	*საორიენტაციო ღირებულება*	*დაფინანსების წყარო*				*წყვეტა დაფინანსებაში*
		ადგილობრივი ბიუჯეტი	*მაღალი დონის ბიუჯეტი*	*ბიზნესი*	*დონორები*	
1.1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	85000 GEL 27419 EU	34 000 GEL 10967.7 EU			51000 GEL 16451.6 EU	
1.2. ქ.თეთრიწყაროს იერსახის გაუმჯობესება	320 000 GEL 103225 EU	16000 GEL 5263.15 EU	144000 GEL 46451.61 EU		160000 GEL 51612.90 EU	წყვეტა დაფინანსებაში 160000 GEL 51612.90 EU
1.3. მრავალფუნქციური საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრის მოწყობა	1200000 GEL 387096.77EU	480 000 GEL 154838.7 EU	-	-	720 000 GEL 232258 EU	
1.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფო ტურების განხორციელება	5 000 GEL 1612.90 EU	5 000 GEL 1612.90 EU				
1.5. ტურისტული ელექტრონული რუკის შექმნა	15 000GEL 4838.70 EU				15 000 GEL	

					4838.70 EU	
2.1. ბიზნესის წარმომადგენელთათვის სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება ბიზნესის მართვის აპლიკაციების მომზადების საკითხებში.	10 000 GEL 3225.80 EU	5 000 GEL 1612.90 EU			5 000 GEL 1612.90 EU	წყვეტა დაფინანსებაში 5000 GEL 1644.73 EU
3.1. ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენის მოწყობა	10 000 GEL 3225.80 EU				10 000 GEL 3225.80 EU	წყვეტა დაფინანსებაში 10 000 GEL 3225.80 EU
3.2. ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირებისათვის ფესტივალებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	5 000 GEL 1612.90 EU	5 000 GEL 1644.73 EU				
ჯამი	1650000 GEL 532258EU	GEL 545000 175806 EU	144000 GEL 46451.61 EU		961000 GEL 310000 EU	175000 GEL 56451.6 EU

11.მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმებიქემა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით მიღწეული შედეგების გამოსავლენად, ადგილობრივ დონეზე მოხდება მონიტორინგის კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელიც დაკომპლექტდება კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისაგან. ჯგუფი ორგანიზებას გაუწევს კვარტალურ შეხვედრებს. მოამზადებს სპეციალურ ანგარიშებს განხორციელებული ქმედებების შესახებ და წარუდგენს სამდივნოს.

ცხრილი 5. ქმედებების და შიდა მონიტორინგის გეგმა

ქმედება	*ხანგრძლივობა*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1.1.ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	01.01.2019 31.12. 2019	პროექტი შესყიდულია, გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოებზე	მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე მონახულებად ტურისტულ ობიექტთან-ბირთვისის კანიონთან, აგრეთვე სხვა ძეგლებთან არსებობს გზის მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები.		
1.2. ქ. თეთრიწყაროს იერსახის გაუმჯობესება	01.09.2019 30.12.2020		პროექტი შესყიდულია, გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოებზე	მოწყობილია ქალაქის ცენტრში შესაბამისი ინფრასტრუქტურა	ქ. თეთრიწყაროს გააჩნია საცხოვრებლად და დასასვენებლად მიმზიდველი იერსახე, გაზრდილია მოსახლეობის და დამსვენებლების კმაყოფილება/ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები
1.3. მრავალფუნქციური საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრის მოწყობა	01.02.2019 31.12.2020	პროექტი შესყიდულია, გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოებზე	ქალაქის ცენტრში არსებულ შენობაში მოწყობილია მრავალფუნქციური საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრი	ქ.თეთრიწყაროში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრი/მომართიანობის და ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	მუნიციპალიტეტში გაზრდილია ტურისტული ტურების და ტურისტების რაოდენობა, შექმნილია დამატებით სამუშაო ადგილები. /ორგანიზებული ტურების, ჩატარებული კონფერენციების სტატისტიკა, დასაქმებულია 50-მდე ადამიანი.

1.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფო ტურების განხორციელება	01.06.2019 01.11.2019	გამოვლენილია საინფორმაციო ტურის მონაწილეები	ტურ-ოპერატორების და მედიის წარმომადგენელთათვის განხორციელებულია 3 საინფორმაციო ტური		
1.5. ტურისტული ელექტრონული რუკის შედგენა	01.07.2019- 01.06.2020		გამოცხადებულია ტენდერი ტურისტული ელექტრონული რუკის შედგენაზე	ტურისტული ელექტრონული რუკა მომზადებულია	რუკა განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის
2.1. ბიზნესის წარმომადგენელთათვის სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება ბიზნესის მართვის აპლიკაციების მომზადების საკითხებში.	01.03.2019- 01.12.2019	ტრენინგების კურსის მომსახურების შესყიდვისათვის გამოცხადებულია ტენდერი	ჩატარებულია ტრენინგი ბიზნესის წარმომადგენლებისათის		
3.1. ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენის მოწყობა	01.06.2019- 01.31.2020	დაბა მანგლისში ორგანიზებულია ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენა	სოფელ ასურეთში ორგანიზებულია „შემოდგომის ფესტივალი“		
3.2. ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირებისათვის ფესტივალებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	01.01.2019- 31.12.2020	უზრუნველყოფილია ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილ გამოფენებში, ფესტივალებში და სხვადასხვა ღონისძიებებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობა	უზრუნველყოფილია ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილ გამოფენებში, ფესტივალებში და სხვადასხვა ღონისძიებებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობა	უზრუნველყოფილია ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილ გამოფენებში, ფესტივალებში და სხვადასხვა ღონისძიებებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობა	უზრუნველყოფილია ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილ გამოფენებში, ფესტივალებში და სხვადასხვა ღონისძიებებში ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობა